პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის № 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 30.03.2011, №210020010.35.123.016052) №2 დანართში (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასები) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის
№ დადგენილების დანართი №2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასები

სატრანსპორტო საშუალების კატეგორია	მარშრუტის ნომერი	ნებართვის გაცემის ფასი ერთ ავტობუსზე ერთ დღეზე გაანგარიშებით (ლარი)
ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით (M_2 კატეგორია)	1 წრიული (მარცხენა)	9,8
	1 წრიული (მარჯვენა)	9,8
	3	1,9
	4	4,9
	5	9,2
	6	7,0
	6ª	1,6
	7	1,6
	9	3,2
	10	5,4
	11	10,2
	15	3,2
	16	2,2
	17	3,4
	18	2,7
	19	5,4
	20	3,8
	21	4,5
	23	4,9
	23ª	4,3
	25	7,6
	26	3,2
	28	5,4
	30	0,8
	31	6,7

	33	1,1
	34	5,4
	34ᵃ	4,9
	35	4,3
	36	4,3
	37	2,7
	38	5,4
	38ᵃ	1,6
	39	1,6
	44	5.9
	48	7,6
	50	8,6
	52	3,8
	55	4,9
	100	17,3
	200 (მარცხენა)	9,2
	200 (მარჯვენა)	9,2
ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით (M_3 კატეგორია)	1 წრიული (მარცხენა)	1,0
	1 წრიული (მარჯვენა)	1,0
	2	1,0
	4	1,0
	5	1,0
	10	1,0
	19	1,0
	20	1,0
	22	1,0
	25	1,0
	31	1,0

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის № 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) **პროექტის მიღების მიზეზი:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სანებართვო საქმიანობის განმახორციელებელი გადამზიდავი კომპანიების ხელმძღვანელებმა ერთობლივი განცხადებით მომართეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, რათა მოხდეს ნებართვის გაცემის ფასის კორექტირება, ბოლო პერიოდში მგზავრთნაკადის შემცირების ოდენობის გათვალისწინებით, რადგან ამ მიზეზით გამოწვეული შემოსავლების შემცირების გამო ისინი ვერ უზრუნველყოფენ ყოველთვიურად, დადგენილ ვადაში სრულად გადაიხადონ ნებართვის გაცემის ფასი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე წლის მარტისა და აპრილის თვეებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეული ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველო ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ორგანიზებით M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ჩატარდა მგზავრთნაკადის ქრონომეტრაჟი, რომლის შედეგებით დადგინდა, რომ M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშუალოდ 22-25%-ით შემცირებულია სამგზავრო გადაყვანის რაოდენობა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო გახდა ნებართვის გაცემის ფასების შემცირება მგზავრთნაკადი ქრონომეტრაჟის შედეგების გათვალისწინებით და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100 დადგენილების №2 დანართში ცვლილებების შეტანა.

ბ) **პროექტის მიღების მიზანი:** პროექტის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და გადამზიდავი კომპანიების მიერ ყოველთვიურად დადგენილ ვადაში ნებართვის გაცემის ფასის სტაბილურად გადახდის ხელშეწყობა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;

ბ) პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტაბილურად უზრუნველყოფას.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

4. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი